



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო**  
პირველი სეესია

**კანავერულო და სხვები იტალიის წინააღმდეგ**

(განაცხადები N39742/14, 51567/14, 74208/14)

სამართლებრივი შეჯამება

*არაოფიციალური თარგმანი*

*მომზადებულია იტალიის სასამართლო სასამართლოს*

*ანალიტიკური სამსახურის მიერ.*

სტრასბურგი

30 იანვარი, 2025 წელი



კანავაჩუოლო და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Cannavacciuolo and Others v. Italy)

განაცხადები N 39742/14, 51567/14, 74208/14

გადაწყვეტილება 30.01.2025

პირველი სექცია

## მე-2 მუხლი

პოზიტიური ვალდებულებები

მე-2 მუხლის პირველი პუნქტი

სიცოცხლე

მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კამპანიის რეგიონში სისტემური, ათწლეულების განმავლობაში არსებული, ფართომასშტაბიანი დაბინძურების ფენომენთან (“Terra dei Fuochi”) სათანადო გულმოდგინებით გაუმკლავებლობა და განმცხადებელთა სიცოცხლის დასაცავად აუცილებელი ყველა ზომის მიუღებლობა: **დარღვევა**

## 34-ე მუხლი

Locus standi

დაზარალებული

ინდივიდუალურ განმცხადებელთა დაზარალებულის სტატუსი და განმცხადებელი ორგანიზაციების უფლება, ემოქმედათ თავიანთი წევრების სახელით *Terra dei Fuochi*-ს დაბინძურების ფენომენიდან გამომდინარე ჯანმრთელობისთვის საშიშ მდგომარეობასთან დაკავშირებით: დაუშვებელია განმცხადებელი ორგანიზაციების და იმ ინდივიდუალური განმცხადებლების მიმართ, რომლებიც ოფიციალურ ჩამონათვალში მითითებულ დაზარალებულ დასახლებებში არ ცხოვრობდნენ

## 46-ე მუხლი

ზოგადი ღონისძიებები (საპილოტე გადაწყვეტილება)

მოპასუხე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზოგადი ღონისძიებები *Terra dei Fuochi*-ის დაბინძურების პრობლემის მოსაგვარებლად, სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ორი წლის ვადაში

ფაქტობრივი ბარემობები

განმცხადებლები არიან კამპანიის რეგიონში დაფუძნებული ხუთი ორგანიზაცია და 41 ინდივიდუალური განმცხადებელი, რომლებიც კაზერტასა და ნეაპოლის პროვინციებში ცხოვრობენ. *Terra dei Fuochi* („ცეცხლის მიწა“) აღნიშნავს ზონას, რომელიც მოიცავს ამ პროვინციების 90 მუნიციპალიტეტს, დაახლოებით 2.9 მილიონი მოსახლით. ტერმინი აღწერს ნარჩენების უკანონო დაყრის, დამარხვის და/ან უკონტროლოდ მიტოვების შედეგებს კერძო მიწებზე, ხშირად დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფების მიერ, რასაც ხშირად ნარჩენების დაწვაც ერთვის. აღნიშნული დაბინძურების ფენომენის შედეგად ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტებს მინისტრთაშორისი დირექტივებით დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა.

1995-2018 წლებში სულ შვიდი საპარლამენტო საგამომიებო კომისია შეიქმნა იტალიაში ნარჩენების მართვისა და მასთან დაკავშირებული უკანონო საქმიანობის გამოსაკვლევად. ჯერ კიდევ 1996 წელს კომისიებმა გამოხატეს შეშფოთება კამპანიის ნაწილებში 1988 წლიდან ნარჩენების უკანონო დაყრისა და დამარხვის, ასევე კიბოს შემთხვევების ზრდის გამო. კომისიებმა დაადგინეს უკანონო ნაგავსაყრელების არსებობის ფაქტი და ნარჩენების განადგურების უკანონო მეთოდები, რომლებიც დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფების კონტროლით ხორციელდებოდა და წარმოაჩინეს სამართლებრივი პრობლემები დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, მათ შორის: შემაკავებელი ზომების „ფაქტობრივი არარსებობა“, სახელმწიფოს რეაგირების „აუცილებელი სიმკაცრის“ ნაკლებობა და გარემოსდაცვითი დანაშაულების გამო დამნაშავეთა მსჯავრდების პრაქტიკული სირთულე. ისინი ასევე აკრიტიკებდნენ გარემოს დასუფთავების გეგმებს და საჭირო ღონისძიებების განხორციელებისას ხანგრძლივ დაყოვნებებს.

განმცხადებლები აცხადებდნენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლები დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ ინფორმირებულნი პრობლემის შესახებ, მათ არ მიუღიათ ზომები, რათა დაეცვათ განმცხადებლები ნარჩენების უკანონო დაყრის, დამარხვისა და დაწვისაგან თავიანთ ტერიტორიებზე. მათ ასევე ვერ შეძლეს აღნიშნულ საკითხზე შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.

## სამართლებრივი შეფასება

მე-2 და მე-8 მუხლები:

(1) დასაშვებობა

(a) დაზარალებულის სტატუსი/*Locus Standi*

(i) *განმცხადებელი ორგანიზაციები* – ვინაიდან მოცემულ საქმეში მე-8 მუხლიდან გამომდინარე სადავო დარღვევა არსებითად ემთხვეოდა მე-2 მუხლიდან გამომდინარე სადავო დარღვევას და უკავშირდებოდა ჯანმრთელობისთვის საშიში დაბინძურების ფენომენს, რომელიც მხოლოდ ფიზიკურ პირებზე მოქმედებდა, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი ორგანიზაციები არ იყვნენ „პირდაპირ დაზარალებულნი“ განსახილველი დარღვევებით.

სასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ როდესაც განმცხადებელი ორგანიზაცია მხოლოდ თავისი წევრების ინდივიდუალურ უფლებებზე დაყრდნობით ჩივის იმის

დემონსტრირების გარეშე, რომ თავადაც დაზარალებულია, მას არ შეიძლება მიენიჭოს დაზარალებულის სტატუსი კონვენციის არსებითი ნორმის საფუძველზე.

ასევე, სასამართლო ვერ დარწმუნდა იმაში, რომ რომელიმე განმცხადებელი ორგანიზაციის წევრი, დამფუძნებელი ან ადმინისტრაციის წევრი, რომელიც ცხოვრობდა იმ მუნიციპალიტეტში, რომელზეც გავლენას ახდენდა *Terra dei Fuochi* და უშუალოდ დაზარალდა მოცემული მდგომარეობით, გათავისუფლებული იყო სასამართლოსთვის ინდივიდუალურად მიმართვის ვალდებულებისგან. საქმეში არ წარმოდგენილა არგუმენტი, რომ რომელიმე მათგანი იმყოფებოდა ისეთ მოწყვლად მდგომარეობაში, რაც ხელს უშლიდა მათ განაცხადის შეტანაში. პირიქით, ამ მუნიციპალიტეტებში მცხოვრებმა ფიზიკურმა პირებმა თავად მიმართეს სასამართლოს თავიანთი სახელით.

საქმეში *Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland [GC]* ორგანიზაციების უფლების აღიარება, შეეტანათ განაცხადი 34-ე მუხლის საფუძველზე იმ ინდივიდთა სახელით, რომელთა უფლებებიც ირღვეოდა ან შეიძლებოდა დარღვეულიყო, გამართლებული იყო „კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სპეციფიკური გარემოებებით“ და „კლიმატის ცვლილების, როგორც კაცობრიობის საერთო საზრუნავის თავისებურებით, აგრეთვე ამ კონტექსტში თაობათაშორისი ტვირთის გადანაწილების აუცილებლობით“ და შემოიფარგლა მხოლოდ „ამ კონკრეტული კონტექსტით“. მოცემულ საქმეში, რომელიც კლიმატის ცვლილებას არ ეხებოდა, სასამართლომ ვერ დაინახა სხვა „სპეციფიკური გარემოება“, რომელიც მისცემდა საფუძველს, ორგანიზაციებისთვის მიენიჭებინა უფლება, ემოქმედათ თავიანთი წევრების (სავარაუდო პირდაპირი დაზარალებულების) სახელით, კონკრეტული უფლებამოსილების გარეშე.

დასკვნა: საჩივრები დაუშვებელია (შეუთავსებელი *ratione personae*).

(ii) *ინდივიდუალური განმცხადებლები* – სასამართლომ მიიჩნია, რომ მის განკარგულებაში არსებული მტკიცებულებები არ იყო საკმარისი დასკვნისთვის, რომ განმცხადებლები N 9, 14, 26, 27, 28, 30, 31, 32 და 33 ან მათი ახლობლები ცხოვრობდნენ იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც შეეხო არსებული დაბინძურების ფენომენი.

დასკვნა: საჩივრები დაუშვებელია (შეუთავსებელი *ratione personae*).

(iii) *შიდასამართლებრივი საშუალებების არამოწურვა* – სასამართლომ დაადგინა, რომ არცერთი ის სამართლებრივი საშუალება, რომელზეც მოპასუხე სახელმწიფომ მიუთითა, არ იყო შესაფერისი განმცხადებელთა პრეტენზიების მოსაგვარებლად ან სათანადო ანაზღაურების მისაღებად.

დასკვნა: წინასწარი პროტესტი უარყოფილია.

(iv) *ექსტვიანი ვადა* – ორი განმცხადებელი (N 11 და 34) აღარ ცხოვრობდა *Terra dei fuochi*-ის მუნიციპალიტეტებში განაცხადების წარდგენის დროს. განმცხადებლებმა N 6, 8, 13, 20, 22, 23 და 29 განაცხადები წარმოადგინეს, ირიბი მსხვერპლის სტატუსით, ოჯახის წევრთა სახელით, რომლებიც გარდაიცვალნენ განაცხადების წარდგენამდე. იმის გათვალისწინებით, რომ ეფექტიანი შიდასამართლებრივი საშუალებები არ არსებობდა,

ექვსთვიანი ვადის ათვლა იწყებოდა იმ მომენტიდან, როდესაც განმცხადებლები შეიტყობდნენ სადავო მდგომარეობის მათზე, ხოლო ირიბ მსხვერპლთა შემთხვევაში, მათ ახლობლებზე ზემოქმედების შესახებ. მოცემული საქმის გარემოებებში, აღნიშნული მომენტი დადგა მაშინ, როდესაც მათ საკმარისი სიცხადით გააცნობიერეს ის რისკი, რომელსაც დაბინძურების ფენომენის შედეგად მათი და მათი ახლობლების სიცოცხლე და ჯანმრთელობა დაექვემდებარა. წინამდებარე საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ ეს მომენტი 2013 წლის ბოლოს დადგა და განსაზღვრა 2013 წლის 31 დეკემბერი, როგორც ექვსთვიანი ვადის დასაწყისი. თუმცა, არცერთ მათგანს არ წარუდგენია განაცხადი ამ თარიღიდან ექვს თვეში, ან ნათესავის გარდაცვალების შემთხვევაში - აღნიშნულიდან ექვს თვეში.

*დასკვნა:* წინასწარი პროტესტი დაკმაყოფილებულია; საჩივრები დაუშვებელია.

მე-2 მუხლი:

(2) *არსებითი მხარე* (განმცხადებლები N 5, 7, 10, 12, 21, 24 და 25)

(a) *გააჩნდა თუ არა ხელისუფლებას განმცხადებელთა სიცოცხლის დაცვის ვალდებულება* – მოცემული საქმე განსხვავდებოდა იმ გარემოსდაცვითი საქმეებისგან, რომლებიც ეხებოდა ერთ კონკრეტულ და იდენტიფიცირებულ დაბინძურების წყაროს, ან მის გამომწვევ აქტივობას და მისი გავრცელების გეოგრაფიულად მეტ-ნაკლებად შეზღუდულ ზონას, ან კონკრეტული ნივთიერების გავრცელების არეალში მოხვედრას, რომელიც ნათლად იდენტიფიცირებადი წყაროდან ვრცელდებოდა. ამ შემთხვევაში საქმე გვქონდა განსაკუთრებით კომპლექსურ და ფართოდ გავრცელებულ დაბინძურებასთან, რომელიც უმთავრესად, მაგრამ არა მხოლოდ, კერძო მიწებზე ხორციელდებოდა და ხასიათდებოდა დაბინძურების მრავლობითი, ერთმანეთისგან განსხვავებული წყაროებით, მათი გეოგრაფიული მასშტაბით, გავრცელებული ნივთიერებებით, ინდივიდთა მათთან კონტაქტის ფორმებითა და გარემოზე მათი ზემოქმედების მასშტაბით. განსხვავებით სასამართლოს მიერ განხილული საქმეების უმრავლესობისგან, ეს საქმე არ უკავშირდებოდა ისეთ სახიფათო საქმიანობას, როგორცაა სამრეწველო საქმიანობა, რომელიც მიმდინარეობდა მარეგულირებელი ჩარჩოს ფარგლებში, არამედ ისეთ ქმედებებს, რომლებიც სრულად უკანონო იყო და ხორციელდებოდა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების, ასევე ინდუსტრიის, ბიზნესისა და კერძო პირების მიერ, ყოველგვარი სამართლებრივი რეგულირების მიღმა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სახიფათო ნარჩენების უკანონო, უკონტროლო განთავსება, მათი დაწვა ან დამარხვა, თავისი ბუნებით წარმოადგენდა საშიშ საქმიანობას, რომელსაც სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნა შეეძლო. ადამიანის ჯანმრთელობისთვის შესაძლო ზიანის სერიოზულობა, რომელიც გარემოს თითოეულ ელემენტზე (ნიადაგი, წყალი, ჰაერი) ვრცელდებოდა, მხარეთა შორის სადავო არ იყო. მოპასუხე სახელმწიფო არ უარყოფდა, რომ ისეთ ტოქსიკურ ნივთიერებებთან კონტაქტი, რომლებიც მოცემულ საქმეში განსახილველი დაბინძურების პირობებში ვრცელდებოდა (მათ შორის კარცინოგენებთან, როგორცაა დიოქსინები და მძიმე მეტალები), ქმნიდა რისკს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტი ძირითადად ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ არ არსებობდა მეცნიერულად დადასტურებული კავშირი

კონკრეტულ დაავადებებსა და აღნიშნულ დაბინძურებას შორის განმცხადებლებსა ან მათ გარდაცვლილ ნათესავებთან მიმართებით.

სასამართლომ, მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე, დაადგინა, რომ არსებობდა „საკმარისად სერიოზული, რეალური და დადასტურებადი სასიცოცხლო რისკი, რაც განაპირობებდა მე-2 მუხლის გამოყენებას და სახელმწიფოს მოქმედების ვალდებულებას. აღნიშნული რისკი შეიძლება მიჩნეულიყო, როგორც „გარდაუვალი“ სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, რადგან განმცხადებლები დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ მუნიციპალიტეტებში, რომლებიც ოფიციალურად იყო მიჩნეული ათწლეულების განმავლობაში არსებული და დღემდე მიმდინარე დაბინძურებით დაზარალებულად. შესაბამისად, არ იყო არც აუცილებელი და არც მიზანშეწონილი, განმცხადებლებს დაკისრებოდათ ვალდებულება, ემტკიცებინათ კონკრეტული დაბინძურების წყაროს ან ნივთიერებასა და სიცოცხლისთვის საშიშ დაავადებას ან სიკვდილის დადგომას შორის პირდაპირი კავშირი.

გარდა ამისა, გამომდინარე იქიდან, რომ ზოგადი რისკი დიდი ხნის განმავლობაში იყო ცნობილი, პრევენციული მიდგომის შესაბამისად, სრული მეცნიერული სიცხადის არარსებობა კონკრეტული პირების ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შესახებ, ვერ გამორიცხავდა სახელმწიფოს დაცვით ვალდებულებას. ამ ვალდებულების ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტი იყო რისკის ბუნებისა და მასშტაბის შესწავლა და შეფასება. აღნიშნულის საწინააღმდეგო დასკვნა მე-2 მუხლს ფორმალურად აქცევდა.

ამრიგად, მე-2 მუხლი იყო გამოყენებადი და შესაბამისად, ეროვნულ ხელისუფლებას ეკისრებოდა ვალდებულება, გადაედგა ყველა შესაბამისი ნაბიჯი ოფიციალურ ჩამონათვალში მითითებულ დაზარალებულ მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ განმცხადებელთა სიცოცხლის დასაცავად.

*(b) იყო თუ არა ხელისუფლების მიერ მოცემულ პირობებში მიღებული ზომები სათანადო – უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლებას ჰქონდა ვალდებულება, ჩაეტარებინა იმ გარემოს დაბინძურების კომპლექსური შეფასება, რომელიც დავის საგანს წარმოადგენდა; კერძოდ, გამოეყენებინა დაბინძურებული ტერიტორიები და დაედგინა შესაბამისი დაბინძურების ბუნება და მასშტაბი და შემდეგ, მიეღო ზომები გამოვლენილი რისკების მართვისთვის. მეორე, ხელისუფლება ვალდებული იყო, გამოეკვლია აღნიშნული დაბინძურების გავლენა აღნიშნულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების ჯანმრთელობაზე. მესამე, გონივრული იყო მოლოდინი, რომ ხელისუფლება იმოქმედებდა დაბინძურების გამოძწვევი ქმედების აღსაკვეთად. მეოთხე, ხელისუფლებას ეკისრებოდა ვალდებულება, დაბინძურების ზემოქმედების ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისთვის დროულად მიეწოდებინა ინფორმაცია, რაც მათ მისცემდა შესაძლებლობას, შეეფასებინათ თავიანთი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის შექმნილი რისკები.*

სახელმწიფო ორგანოებს თავიანთი ვალდებულებების შესასრულებლად პრაქტიკული ღონისძიებების შერჩევასა შეფასების ფართო თავისუფლება ჰქონდათ, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მათ უნდა მიეღოთ რთული ოპერატიული გადაწყვეტილებები პრიორიტეტებსა და რესურსებზე დაყრდნობით. ამ ფაქტორს აძლიერებდა ის ფაქტი, რომ დაბინძურების განსახილველი ფენომენი განსაკუთრებული სირთულით ხასიათდებოდა. თუმცა, სასამართლომ უნდა შეაფასოს, გამოიჩინა თუ არა ხელისუფლებამ საჭირო გულმოდგინება საფრთხის ბუნებიდან და სერიოზულობიდან

გამომდინარე. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი რეაგირების დროულობა. გარდა ამისა, საფრთხის ბუნება და სიმძიმე მოითხოვდა ხელისუფლების მხრიდან სისტემურ, კოორდინირებულ და ყოვლისმომცველ მიდგომას.

(i) *ზომები დაბინძურებული ტერიტორიების იდენტიფიცირებისა და ჰაერის, ნიადაგისა და წყლის დაბინძურების დონის შესამოწმებლად* – არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულება ხელისუფლების მხრიდან სისტემური ნაბიჯების შესახებ *Terra dei Fuochi*-დან გამომდინარე დაბინძურებული ტერიტორიებისა და დაბინძურების წყაროების იდენტიფიცირების კუთხით, 2013 წლის დეკემბერში N 136 კანონის მიღებამდე (შემდგომ N 6/2014 კანონად გადაიქცა), რომელიც მოიცავდა საგანგებო ზომებს გარემოსთან დაკავშირებული კრიზისების მოსაგვარებლად. აღნიშნული ხდებოდა იმის ფონზე, რომ ხელისუფლება თითქმის ორი ათწლეულის განმავლობაში ფლობდა პრობლემის მნიშვნელოვან ასპექტებზე ინფორმაციას (ზოგ ასპექტზე 1990-იანების დასაწყისიდან და მთლიან ფენომენზე – მინიმუმ 2000-იანების დასაწყისიდან). სასამართლო აღიარებდა N 136 კანონის მნიშვნელობას, მათ შორის მისი იმპლემენტაციის ფარგლებში ჩატარებული ანალიზის მნიშვნელობას და აცნობიერებდა, რომ ასეთი მასშტაბის გარემოსდაცვითი შეფასებები შეიძლება ხანგრძლივ პროცესს მოითხოვდეს, თუმცა, აღნიშნული სამართლებრივი აქტი მიღებული იყო დაგვიანებით. გარდა ამისა, მისი მიღებიდან რვა წლის შემდეგაც კი ზოგიერთ ზონაში ანალიზი ჯერ კიდევ არ ჩატარებულიყო, ხოლო სხვებთან დაკავშირებული პროგრესი ძალიან ნელი იყო. შესაბამისად, ხელისუფლება არ მოქმედებდა სათანადო გულმოდგინებით.

N 136 კანონი მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და სოფლის მეურნეობის სარწყავად გამოყენებულ წყლებს ეხებოდა. საქმის მასალებიდან სასამართლოს არ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ზომები მიიღეს ან რა ზომების მიღება იყო დაგეგმილი იმ დაბინძურების დასადგენად, რომელიც ამ სამართლებრივი ინსტრუმენტის ფარგლებს გარეთ რჩებოდა, მათ შორის, ჰაერის დაბინძურების მასშტაბის დასადგენად *Terra dei Fuochi*-ის ტერიტორიაზე.

საბოლოო ჯამში, არ არსებობს მტკიცებულება ხელისუფლების მხრიდან სისტემური, კოორდინირებული და ყოვლისმომცველი რეაგირების შესახებ იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებიც მიმართული იქნებოდა დაბინძურებული ტერიტორიების იდენტიფიცირებისკენ და იმ დაბინძურების ბუნებისა და მასშტაბის დასადგენად, რაც N 136 კანონის ფარგლებს სცდებოდა.

ბოლოს, 2018–2021 წლების დოკუმენტების მიხედვით, დაბინძურების ფენომენი დასრულებული არ იყო, ვინაიდან კვლავ ფიქსირდებოდა უკანონო ნაგავსაყრელები და ნარჩენების უკანონო წვა. ასეთ პირობებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა პერიოდული მონიტორინგის განხორციელება, თუმცა, სასამართლოს მოწოდების მიუხედავად, ამ საკითხზე მთავრობას მისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია.

(ii) *რისკების მართვის ღონისძიებები* – სასამართლოსთვის წარმოდგენილი მასალებით რთული იყო შესაბამის მუნიციპალიტეტებში დაბინძურებასთან ბრძოლის მიმართულებით გაწეული ძალისხმევის და გადადგმული ნაბიჯების შესახებ სრული სურათის შექმნა. პარლამენტის მეექვსე საგამოძიებო კომისიამ, რომელიც სახელმწიფოს მიერ თავად იყო შექმნილი, ვერ შეაგროვა საკმარისად ყოვლისმომცველი ან/და განახლებული მონაცემები, რაც თავისთავად შემაშფოთებელია.

ირკვეოდა, რომ დაბინძურებასთან ბრძოლა მთლიანობაში ნელა ხორციელდებოდა; ბევრი ნაბიჯი მხოლოდ ბოლო პერიოდში (2017–2019 წლებში) იყო გადადგმული და ისინი ძირითადად საწყის ეტაპზე იმყოფებოდა. ამავე დროს, აღნიშნული პროგრამები სხვადასხვა დონეზე (მუნიციპალური, რეგიონული, ეროვნული) ჭიანჭურდებოდა და გაუგებარი იყო, როგორ იყო ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული და/ან კოორდინირებული. სასამართლოსთვის ასევე გაუგებარი რჩებოდა, როგორ უნდა მიეჩნიათ „უსაფრთხოდ“ ის ტერიტორიები, სადაც დაბინძურებასთან ბრძოლის ღონისძიებები არ იყო დაწყებული ან აღნიშნულის განხორციელებას დაბრკოლებები ექმნებოდა.

(iii) *ზომები ჯანმრთელობაზე ზემოქმედების გამოსაკვლევად* – მთავრობის თქმით, *Terra dei Fuochi*-ის ტერიტორიაზე მცხოვრები პირების ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესასწავლად მრავალი ღონისძიება იყო გატარებული, განსაკუთრებით კიბოს სკრინინგის და სამედიცინო მართვის მიმართულებით. თუმცა, ამ ზომების უმრავლესობა 2013 წლის შემდეგ იყო მიღებული. გარდა ამისა, სასამართლოსთვის თვალშისაცემი იყო ის ფაქტი, რომ ჯანმრთელობის მონიტორინგისა და ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის კოორდინირებული, სისტემური და ყოვლისმომცველი მიდგომის პირველი მცდელობა მხოლოდ 2014 წლის N6 კანონის მიღებასთან ერთად გაჩნდა, რა დროსაც თითქმის ორი ათწლეული იყო გასული მას შემდეგ, რაც პარლამენტის მეორე საგამომიებო კომისიამ ხელისუფლებას მოუწოდა, გამოეკვლია კიბოს შემთხვევების ზრდასა და უკანონო ნარჩენების დამარხვას შორის შესაძლო კავშირი კაზერტას პროვინციაში. გარდა ამისა, ამ კანონის „ჯანმრთელობასთან დაკავშირებული“ დებულებები მხოლოდ 2016 წელს ამოქმედდა. ამრიგად, სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ ხელისუფლება სათანადო გულმოდგინებით მოქმედებდა ჯანმრთელობაზე დაბინძურების ფენომენის ზემოქმედების გამოსაკვლევად.

(iv) *უკანონო ნარჩენების განთავსების, დამარხვისა და დაწვის საწინააღმდეგო ზომები* – სასამართლომ გაიმეორა, რომ დაბინძურების ფენომენი გამომდინარეობდა იმ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების, ასევე ინდუსტრიის, ბიზნესისა და კერძო პირების მიერ ნარჩენების უკანონო განთავსებიდან, დამარხვიდან და დაწვიდან, რომლებიც მოქმედებდნენ ყოველგვარი კანონიერი ჩარჩოს მიღმა. შესაბამისად, სასამართლომ განიხილა, რა ზომები მიიღო მთავრობამ ასეთი ქცევის პრევენციისა და შეჩერების მიზნით.

(α) *ტერიტორიის მონიტორინგი სამართალდამცავი ორგანოების მიერ* – სასამართლომ აღიარა 2012 წელს სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობის შექმნის მნიშვნელობა, რომლის მიზანიც იყო სამართალდამცავ ორგანოებსა და სხვადასხვა ინსტიტუციურ სუბიექტებს შორის კოორდინაციის უზრუნველყოფა უკანონო ნარჩენების განთავსების წინააღმდეგ, განსაკუთრებით ტერიტორიის მონიტორინგისა და კონტროლის, ასევე განხორციელებული ქმედებების შესახებ კონკრეტული მონაცემების მიწოდების თვალსაზრისით. თუმცა, აღნიშნული თანამდებობის შექმნის მომენტში ხელისუფლებას უკვე თითქმის ათწლეულის განმავლობაში ჰქონდა ინფორმაცია იმ აქტივობების შესახებ, რომლებმაც წარმოშვა აღნიშნული დაბინძურების ფენომენი. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო მიესალმა 2016 წლის „სამოქმედო გეგმას“, რომლის მიზანიც იყო უკანონო ნარჩენების განთავსებისა და დაწვის პრევენცია და შეწყვეტა, სასამართლომ ეჭვი გამოთქვა ამ ზომის დროულობაზე, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ 2018 წელს

საჭირო გახდა ხსენებული გეგმის გადახედვა და ახალი ღონისძიებების დამატება. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ: პირველ რიგში, დოკუმენტის პრეამბულა მიუთითებდა, რომ 2018 წელსაც კი ჯერ კიდევ აუცილებლად მიიჩნეოდა უკანონო ნარჩენების დაწვის წინააღმდეგ მოქმედი სუბიექტების დადგენა და ნარჩენების უკანონო დაწვის პრაქტიკასთან ბრძოლაში ჩართულ სხვადასხვა უწყებას შორის პასუხისმგებლობის კოორდინირება; მეორეც, 2018 წლის სტრატეგია ძირითადად ფოკუსირდებოდა მხოლოდ ერთ ასპექტზე – ნარჩენების უკანონო დაწვაზე; მესამე, საქმის მასალებიდან რთული იყო იმის დადგენა, თუ რამდენად იყო ეს გეგმა კოორდინირებული იმ სტრუქტურების ქმედებებთან, რომლებიც ასევე ჩართულნი იყვნენ *Terra dei Fuochi*-დან გამომდინარე პრობლემის მოგვარებაში.

(β) *სისხლისსამართლებრივი გამოძიებები და სასამართლო სამართალწარმოება* – სასამართლომ, მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი ჩარჩოს *in abstracto* შეფასება არ გაუკეთებია, დაადგინა, რომ პარლამენტის საგამოძიებო კომისიების მიერ გამოხატული შემფოთების ფონზე, არსებობდა სერიოზული ეჭვები მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს ეფექტიანობასთან დაკავშირებით, გარემოსდაცვითი დანაშაულების პრევენციის კუთხით, მათ შორის იმ ქმედებებთან მიმართებით, რომლებიც იყო ამ დავის საგანი. ეს განსაკუთრებით აშკარა იყო 2015 წლამდე, სანამ ძალაში შევიდოდა კანონი N 68, რომელმაც მძიმე დანაშაულებად აღიარა ნარჩენების უკანონო ბრუნვა და განთავსება. 2015 წლამდე საკანონმდებლო რეაგირება არა მხოლოდ არასაკმარისად ეფექტური ჩანდა, არამედ ნელი და ფრაგმენტული იყო და შემოიფარგლებოდა მხოლოდ სხვადასხვა დანაშაულების შემოღებით, საპარლამენტო კომისიების მიერ სისხლისსამართლებრივ სისტემაში იდენტიფიცირებული ხარვეზების ჰოლისტური მიდგომით გამოსწორების გარეშე.

გარდა ამისა, საქმის მასალებიდან შეუძლებელი იყო მკაფიო სურათის მიღება *Terra dei fuochi*-ის ტერიტორიაზე ნარჩენების განთავსებასთან, დამარხვასა და დაწვასთან დაკავშირებული გამოძიებებისა და მათი შედეგების შესახებ. მთავრობამ მხოლოდ შვიდი სისხლისსამართლებრივი საქმის მაგალითი წარმოადგინა, რომელთაგან ოთხი ვერ ჩაითვალა ისეთი ეფექტური დევნის მტკიცებულებად, რომლებიც გამომდინარეობდა მოცემულ საქმეში განსახილველი უკანონო ქცევიდან და დაკავშირებული იყო დაბინძურების ფენომენტთან. დარჩენილ სამ საქმეში კი პირები მართლაც იქნენ მსჯავრდებულნი დიდი ოდენობით საშიში ნარჩენების უკანონო განთავსებისთვის აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში, რაც ეფექტური დევნის მაგალითს წარმოადგენდა, მაგრამ საქმეთა ასეთი მცირე რაოდენობა საკმარისი არ იყო დასკვნის გამოტანისთვის, რომ სახელმწიფომ გაატარა ყველა საჭირო ზომა აღნიშნულ ტერიტორიაზე მაცხოვრებლების დასაცავად.

(γ) *ნარჩენების მართვის ციკლთან დაკავშირებული ზომები* – მიუხედავად იმისა, რომ მოცემული საქმე პირდაპირ არ ეხებოდა ე.წ. „ნარჩენების კრიზისს“ კამპანიაში და რეგიონში ნარჩენების შეგროვების, გადამუშავების და გადაყრის მართვას ხელისუფლების მიერ, დადგინდა, რომ ამ სისტემის ხარვეზები იყო *Terra dei fuochi*-ის ფენომენტის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ მრავალი წლის განმავლობაში, 1990-იან წლებში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგაც კი, მინიმუმ 2019 წლამდე, იტალიის ხელისუფლება ნელი ტემპით ახორციელებდა ზომებს კამპანიის რეგიონში ნარჩენების შეგროვების, გადამუშავების და განთავსების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

(ბ) ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული ზომები – სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ ხელისუფლების რეაგირება, დაბინძურების ბუნებისა და მასშტაბის შესახებ ინფორმაციის შეგროვების თვალსაზრისით, იყო საკმარისად სისტემური, სრულყოფილი და კოორდინირებული. ეს განსაკუთრებით აშკარა იყო იმ ღონისძიებების არარსებობის ფონზე, რომლებიც გასცდებოდა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო მიწების შეფასებას N 136 კანონის შესაბამისად. აღნიშნულმა გარემოებამ უარყოფითად იმოქმედა ხელისუფლების შესაძლებლობაზე, მიეწოდებინა დაზარალებული ტერიტორიების მოსახლეობისთვის აუცილებელი ინფორმაცია, რათა მათ შეეფასებინათ საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის შექმნილი რისკები.

სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მსგავსი მასშტაბის, სირთულისა და სერიოზულობის დაბინძურების ფენომენს ხელისუფლებისგან სჭირდებოდა ყოვლისმომცველი და ხელმისაწვდომი კომუნიკაციის სტრატეგია, რომელიც საზოგადოებას პროაქტიულად მიაწვდიდა ინფორმაციას როგორც პოტენციურ ან რეალურ ჯანმრთელობის რისკებზე, ასევე იმ ზომებზე, რომლებიც ამ რისკების მართვის მიზნით მიიღებოდა. თუმცა, ეს არ განხორციელებულა.

(ც) საერთო დასკვნა – ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ დაადასტურა, რომ იტალიის ხელისუფლება *Terra dei fuochi*-ის პრობლემას ისეთი გულმოდგინებით მიუდგა, რომელსაც ვითარების სერიოზულობა მოითხოვდა და ვერ დაამტკიცა, რომ სახელმწიფომ გააკეთა ყველაფერი, რაც მას მოეთხოვებოდა განმცხადებელთა სიცოცხლის დასაცავად. გარემოს დაბინძურების ხასიათისა და რისკების ხარისხის გათვალისწინებით, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელისუფლების მიერ ზომების დაგვიანებით მიღება მიუღებელი იყო. შესაბამისად, მთავრობის არგუმენტი იმის შესახებ, რომ არ არსებობდა დადასტურებული კავშირი კონვენციის სადავო დარღვევასა და განმცხადებლებისთვის მიყენებულ ზიანს შორის, უარყოფილ იქნა.

დასკვნა: დარღვევა (ერთხმად).

მე-8 მუხლი:

მე-2 მუხლთან დაკავშირებული დასკვნებისა და იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელთა არგუმენტები მე-8 მუხლის საფუძველზეც არსებითად იმეორებდა მათ პრეტენზიებს მე-2 მუხლის კონტექსტში, სასამართლომ (ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ) მიიჩნია, რომ აღნიშნულის ცალკე განხილვა საჭიროდ არ მიიჩნია.

46-ე მუხლი:

*Terra dei fuochi*-ის დაბინძურების პრობლემის მუდმივი ხასიათის და მის მოსაგვარებლად სახელმწიფოს მხრიდან სისტემური ხარვეზების, დაზარალებული ადამიანების დიდი რაოდენობისა და მათი მყისიერი დაკმაყოფილების საჭიროების გათვალისწინებით, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია საპილოტე გადაწყვეტილების პროცედურის გამოყენება.

სასამართლომ დეტალურად მიუთითა ზოგადი ღონისძიებები, რომლებიც სახელმწიფომ უნდა მიიღოს:

პირველ რიგში, ხელისუფლებამ უნდა შექმნას ყოვლისმომცველი სტრატეგია, რომელიც დაბინძურების პრობლემის მოსაგვარებლად გააერთიანებს ყველა არსებულ ან დაგეგმილ ღონისძიებას, ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციით (სამოქალაქო საზოგადოების და შესაბამისი ორგანიზაციების ჩათვლით). ეს მოიცავს დაზარალებული ტერიტორიების იდენტიფიცირებას, დაბინძურების ბუნებისა და მასშტაბის შეფასებას (ნიადაგი, წყალი, ჰაერი), გამოვლენილი რისკების მართვას, ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესწავლას და უკანონო ქმედების წინააღმდეგ ბრძოლას. სტრატეგიას უნდა ჰქონდეს მკაფიო დროის ჩარჩო (მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი), უნდა განისაზღვროს საჭირო რესურსები და მათი განაწილება შესაბამის სახელმწიფო სუბიექტებზე.

მეორე, სახელმწიფომ უნდა შექმნას დამოუკიდებელი მექანიზმი *Terra dei Fuochi*-ის პრობლემის მოგვარების სტრატეგიის შესრულებისა და მისი შედეგების მონიტორინგისთვის, ვადების დაცვაზე ზედამხედველობით. უნდა არსებობდეს გარანტიები აღნიშნული მექანიზმის დამოუკიდებლობისთვის და დასკვნები საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა გახდეს.

მესამე, სახელმწიფომ უნდა დააფუძნოს ერთიანი, საჯარო საინფორმაციო პლატფორმა, სადაც ორგანიზებულად იქნება ხელმისაწვდომი ყველა რელევანტური ინფორმაცია *Terra dei fuochi*-ის პრობლემისა და მიღებული ან დაგეგმილი ზომების შესახებ, მათი განხორციელების სტატუსთან ერთად, რეგულარული განახლებით.

ყველა ზემოაღნიშნული ღონისძიება უნდა განხორციელდეს სასამართლოს გადაწყვეტილების საბოლოო ძალაში შესვლიდან ორი წლის ვადაში. სასამართლომ ასევე გადაწყვიტა, დროებით გადაედო იმ მსგავსი განაცხადების განხილვა, რომელთა შესახებ მთავრობას ჯერ შეტყობინება არ ჰქონდა მიღებული.

41-ე მუხლი: არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის განხილვა გადადებულია ზემოაღნიშნული ორწლიანი ვადით.

სასამართლომ ასევე ამორიცხა განსახილველ საქმეთა სიიდან N 1-4 განმცხადებლების განაცხადი მათი მხრიდან საქმის გაგრძელების განზრახვის არარსებობის გამო.

(*იხ. ასევე: Öneriyıldız v. Turkey [GC], 48939/99, 30 November 2004, Legal Summary; Yusufeli İlçesini Güzelleştirme Yaşatma Kültür Varlıklarını Koruma Derneği v. Turkey (dec.), 37857/14, 20 January 2022; Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland [GC], 53600/20, 9 April 2024, Legal Summary*)